აუდიტის საქმიანობის რეფორმირება და გამოწვევები საქართველოში

სალომე მუჯირიშვილი

სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში

პროექტის ხელმძღვანელი: ირაკლი კუჭავა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

სარჩევი

აბრევიატურის ჩამონათვალი ii

აბსტრაქტი iii

1. აუდიტის მიზანი და საფუძველი 1

1.1 საკვლევი თემის აქტუალობა და კვლევის მიზანი 1

1.2 აუდიტის მიზანი, საფუძველი აუცილებლობა 5

1.3 აუდიტორული საქმიანობის მდგომარეობა საქართველოში 8

2. აუდიტის სფეროს რეფორმირება და გამოწვევები საქართველოში 16

2.1 აუდიტის სფეროში რეფორმების დაწყების საფუძველი და მიზანი 16

2.2 ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და მისი მოთხოვნები აუდიტის მიმართ 18

2.3 მსოფლიო ბანკის ROSC რეპორტი და მისი რეკომენდაციები 28

3. რეკომენდაციები აუდიტის სფეროსადმი ინტერესის მქონე პირთათვის 33

3.1 ევროკავშირის რეკომენდაციების დანერგვის ანალიზი პოლონეთის მაგალითზე 33

3.2 ევროკავშირის მოთხოვნების გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობის ცვლილებები და მათი გავლენა აუდიტის სფეროსთან დაკავშირებულ პირებზე 39

გამოყენებული ლიტერატურა/ბიბლიოგრაფია 48

აბრევიატურის ჩამონათვალი

ასს - აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები

კანონი - საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური

აგნარიშგების აუდიტის შესახებ“

A&A - ბუღლტრული აღრიცხვა და აუდიტი

EU - ევროკავშირი

IESBA - ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო

IFAC - ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია

IFRS – ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

ISA - აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები

ROSC - ანგარიში სტანდარტების და კოდექსების შესრულების შესახებ

SME- მცირე და საშუალო საწარმოები

KSR - პოლონეთის ბუღალტრული სტანდარტების კომიტეტი

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი - აუდიტის საქმიანობის რეფორმირება და გამოწვევები საქართველოში, ეხება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შედეგად, საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის სფეროში დაწყებული რეფორმების ანალიზს. ნაშრომის მიზანია, მოახდინოს დაინტერესებული მხარეების ინფორმირება, თუ რა ცვლილებები განხორციელდა აუდიტის საკანონმდებლო და მარეგულირებელ სფეროში და რას უნდა ველოდოთ მომავალში. ნაშრომში გაანალიზებული იქნება: თუ როგორ ფუნქციონირებდა საქართველოს ბუღალტრული აღრიცხის, ფინანური ანგარიშგების და აუდიტის სისტემა უახლოეს წარსულში, რა ვითარებაა დღეის მდგომარეობით და რა ცვლილებებია მოსალოდნელი მომავალში. კონკრეტულად რას მოითხოვს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, რა ვადებია დადგენილი საქართველოს კანონმდებლობის ევროდირექტივებთან შესაბამისობაში მოსასვლელად და მათი მიმდინარეობის ანალიზი. აღნიშნულის განსახორციელებლად მოხდება საქართველოს ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზისა და ევროდირექტივების მოთხოვნების შესწავლა და მათი შესაბამისობის ანალიზი. ხოლო კვლევის შედარების მეთოდის გამოყენებით, განხილული იქნება ევროპის ქვეყანა, რომელმაც ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად, მოახდინა საკუთარი ქვეყნის საფინანსო და აუდიტის საკანონმდებლო ბაზის რეფორმირება. განხორციელებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შემუშავდება კონკრეტული რეკომენდაციები საქართველოს ბიზნეს სექტორისთვის, პროფესიონალი აუდიტორებისთვის და ნებისმიერი, აუდიტის სფეროში ინტერესის მქონე სუბიექტისთვის: თუ, რას უნდა ელოდნენ დაწყებული რეფორმებისგან, რა დამატებითი აქტივობების განხორციელება და ხარჯების გაღება მოუწევთ, რომ შეძლონ დროულად, პრობლემების წარმოქმნის გარეშე, ახალ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოსვლა.